



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 75

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
29.08.2023

75-06-4-202308291138



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის კობა ქარუმძისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N38 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2023 წლის 9 აგვისტოს N149 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N38 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - კობა ქარუმძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1000 (ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - იმედა ფრეწუაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

კობა ქარუმძე - 1000 (ათასი) ლარი,
იმედა ფრეწუაშვილი - 500 (ხუთასი) ლარი, 3/5

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

